№ 133 8 ქრისტეშობისთვე, ოთხშაბათი 1866–1876 8 ქრისტეშობისთვე, ოთხშაბათი № 133

ჩროეკა

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკვობით

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადი — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გასცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, ტრიქონზე — 8 კაპ., ციცერითი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

დღიური

თუმცა რაც დრო მიდის, თან-დათან უფრო შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ომი არ ატყდება, მაგრამ ომისათვის მზადება ჯერ არ შეჩერებულა და, როგორც სჩანს, ასე ადვილად არც შეჩერდება.

ჩვენში ამ ომიანობისათვის მზადებას, სხვათა შორის, იმითაც ვატყობთ, რომ ქალაქის არსენალში დღე-და-ღამ განუწყვეტელი და გაცხარებული მუშაობა არის. ამბობენ, რომ ამ ჟამად არსენალში ძველი სისტემის თოფებს ახალ სისტემის თოფებად აკეთებენო და სხვა სამხედრო იარაღესს ამზადებენო.

* * *

ქალაქის ბამგეობა უცხადებს ვაჭრებსა და საზოგადოთ იმ პირთ, რომელთაც რომელიმე წარმოება აქვთ აქ, ფაბრიკა ან ქარხანა, რომ ვაჭრობის მოწმობა და ქალაქის ბილეთი ამ წლის 31 ქრისტეშობისთვემდინ უნდა აიღონ ქალაქის ბამგეობიდამ.

* * *

ბუშინ, სამშაბათს, დილის 4-ს საათზე გაუჩნდა ცეცხლი ვაჭრის საფაროვის სახლს ველიამინოვის ქუჩაზე, ცეცხლის კამანდის სადგომის მახლობლად. ალი სახურავიდამ ამოვარდა; როგორც ეტყობოდა, ცეცხლი რამდენიმე საათი დატრიალობდა შენობაში. ამბობენ, პირველად ცეცხლი ეზოს შიგნი შენობაში გაჩნდაო.

თუმცა ცეცხლის მქრობელი კამანდა მარჯვედ იყო, მაგრამ ვერა გააწყვეს-რა, რადგან ორი საქრობი ტრუბის მეტი არა ჰქონდათ. სახლი სულ მთლად დაიწვა.

ჩვენ გავიგონეთ, რომ ეს სახლი უფ. საფაროვს ორი ათას თუმანში ჰქონია საზღვეველ საზოგადოებაში (სტრახში) შეტანილი და მაღაზია, რომელიც მეორე ეტაჟაში იყო, რვა ათას თუმანში...

ძალიან გაგვაკვირვა ჩვენ იმ გარემოებამ, რომ ალმა ჯერ პირველად სახურავიდამ ამოჰყო თავი და მერე მეორე ეტაჟაში ამოხეთქა; ზემო ეტაჟას კი მხოლოთ შემდეგ მოეკიდა ცეცხლი და სულ ბოლოს სარდაფი დაიწვა...

* * *

ამ თვის 20-ს, ქართლში, სოფელს შვლებს შემდეგი უბედურება მოხდა: ამ სოფლის თავადიშვილები: ბიგა, ილიკო, ლევან და ვასო ამირეჯიბები ტყეში სანადიროთა ყოფილან. ინადირეს დამივიდნენ სოფელს ძვილეთს კოტე ტატიშვილისას. იქ, რასაკვირველია ჩვეულებისა-და-გვარათ კარგათ ულხენიათ, და წამოვიდნენ მთვრალები.

ბზაში ბიგას და ილიკოს რაღაზედაც ლაპარაკი მოსვლიათ, თავისი ლანძღვითა და გინებითა. ერთი გაჩუმება გაჩუმდნენ. ბოლოს ლევანმა ილიკოს უთხრა, მაგისთანა სიტყვებს არ დავთმობო! „ამაზედ ვასომ ლევანის ცხენს მათრახი გადაჰკრა:“ შენი გახელე ბა რაღათ უნდათო, ძლეს გაჩუმდნენო! ლევანს გული მოუვიდა და რევოლვერი ესროლა ვასოს, მაგრამ არ გაუარდა. ვასომ სტაცა ხელი, წაართვა რევოლველი და მხარზედ გადიკიდა! ცოტა ხანს შემდეგ ლევანმაც ხელი სტაცა დააწყვიტა და დასცა რეოლვერი ვასოს.

ტყვია მარცხენა ძუძუში მოხვდა, და ასე მძიმეთ დაჭრილი მიიყვანეს სახლში. ამბობენ, რომ მომკვდარა კიდეცაო. თვითონ ლევანი ჩაიჭრა ბორსა და გამომძიებელი და ჰექიმი გაუგზავნა ავათმყოფის ოჯახსა. ორნივე ღვიძლი ბიძაშვილები არიან.

* * *

ჩვენ მივიღეთ ქიზიყიდამ შემდეგი წერილი:

„მოელი დუნია მომიელია“, როგორც იტყვიან ხოლმე, და ქიზიყის ხალხისთანა წირვა-ლოცვაზედ ხელაღებული ხალხი მეორე არ მინახავს: ისე გადის კვირეები, თვეები და წლებიც, რომ საყდარში წირვაზედ ორ—სამ კაცს ვერ შეხვდებით ხოლმე შობა—აღდგომისა და სხვა ამგვარ დიდ დღესასწაულებს გარდა.

„მღვდლის წირვა-ლოცვას მარტო საყდრის ოთხი კედელი და ათასში ერთხელ ოთხიოდე მოხუცებული ადამიანები ისმენენ. ხალხი შექუჩეჩებულია დუქნის, ან ეკკლესიის არემარეზედ და თუნდა ერთი საათი ურეკო, საყდრისაკენ არც კი გაიხედვენ.

„არ ვიცი, ვის უნდა მიეწეროს ეს გარემოება? მღვდელს რო ჰკითხო, გეტყვისთ: „რა ექნა, მეც გული აღარ მიმდის, ღმერთო შეგცოდე, წირვა-ლოცვაზედ: თუ ხალხი არ მოვა, ვის უნდა უწიროვო?“ ხალხს რო ჰკითხოთ, „რა უნდა გავაკეთო, რო წავიდე წირვაზედ? ქადაგებას ვერ გავიგონებ და დარიგებას და ისე შინაც ვილოცავ, ჩემ სახლში. საყდარს რამდენი ხანია ვუყურებ და მღვდელი ჩვენ ხელში მოხუცდაო“, გეტყვისთ.

„ერთი სიტყვით, მღვდელი მრეველს უჩივის და უკანასკნელი პირველს. ამას წინეთ ერთ დიაკვანს ვკითხე, რატო ეგრე ცოტა ხალხი დადის თქვენს წირვაზედ-მეთქი და ესე მითხრა: „ჩვენი ხალხი საცა ორ ბოთლ არაყს, ან ღვინოს დაინახავს, იქ არის იმისი სალოცავი და სულის მაცხოვნებელი ადგილიო. აბა საღმრთო, ან დღეობა იყვეს, მაშინ ნახავთ მოვლენ, თუ არაო. აი, თუ გინდა, მეორე შაბათს ყასიდათ გამოვაცხადებ, რომ კვირას მე წირვა მაქვს, ყველას დავეპატიჟები და წირვაზედ მოდით მეთქ, დაინახავთ ფუტკარივით მოგროვდებიან, თუ არაო... ზოგ ზოგი ისეთები არიან, რომ 20—30 წელიწადი არ მიუღიათ წმ. საიდუმლო, იძახიან კი ქრისტიანები ვართო. რა უნდა ვუყოთ? მე რომ მღვდელი ვიყო, ყველას შტრაფს დავაწერ, ვინც კვირა დღეს დააკლდება წირვას“ და სხვ.

„—არა, ჩემო კარგო, რო გამღვდელდე, შენც სხვა ოინებს უფრო ისწავლი და რასაც ეხლა ამბობ, ის არც კი მოგაგონდება-მეთქი, ვიფიქრე გულში და თავიდამ მოვშორდი.“

* * *

ქუთაისიდამ გვწერენო, რომ აქაურ ქართული სცენის მოყვარეთა განზრახვა ჰქონდათო, რომ რამდენიმე წარმოდგენა გაემართათ; ერთი წარმოდგენა, სხვათა შორის სლავიანების სასარგებლოდაც უნდა გამართულიყო. მაგრამ სააზნაურო სახლი ამჟამად ჯარისაგან არის დაჭერილიო და ამის გამო ქართულ წარმოდგენებს ჯერ-ჯეროობით ბოლო მოეღოვო, რადგან სხვა ისეთი მოთავსებული სახლი და ზალა არ მოიპოვება ჩვენს ქალაქში, სადაც წარმოდგენე-

ფელტონი

მევენახობა

ყოველი მხარე და ნაწილი დედამიწისა თითო რომელიმე საგნით არის ბუნებით შესანიშნავი. ამის დასამტკიცებლათ ძალიან შორს რომ არ წავიდე მაგალითების მოსაყვანათ, მოვიყვან ჩვენსავე მიწა-წყალს: ქართლია უფრო მომეტებულათ სახელოვანი პურის მოსავლით, ქახეთი—ღვინით, იმერეთი—ღომითა და სიმინდით და სხვა; ხოლო მთელი საქართველო—პურითა და ღვინით.

თუ ვინიცობაა სხვა რომელიმე დამაბრკოლებელი მიზეზი წინ არ მიუძღვის ცხოვრებას, სადაც პური და ღვინო უხვია, იქ გულიც გახარებულია; „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო!“

ზოგიერთნი წარსული საუკუნოების ევროპის მწელები გვაცნობებენ, რომ თავ-და-პირველათ ევროპაში, მაგალითად: იტალიაში, საფრანგეთში, ესპანიაში და სხვაგან ქავკასიიდამ, განსაკუთრებით საქართველოდამ, არის ვაზი გადატანილი და გაშენებულიო; და იმ გადამტანთ და ღვინის გამკეთელებლებს ერი ზოგთ ღმერთს და ზოგთ ნახევარ-ღმერთს უწოდებდნენ, რადგანაც მათის პირადის ნაწარმოების ღვინის დალევით იდუმალ გონებით ცვლილებასა, ძალასა ანუ სისუსტესა გრძნობდნენ. ვის არ მოგეხსენებათ ღვინის ძალა და გავლენა?

ღვინომ ჰსთქვა ჭაჭანეურმა: უცეცხლოთ ალმოვსდუღდები;
ჭკვიანსა ბრძნულათ ვექცევი, რეგვენთან ალვმობრწყინდები!

თუ ეს ასეა, თუ ბუნებას ქვეყნის დაბადებიდგანვე ვაზი მიუნიჭებია საქართველოს ნიადაგისათვის, რისაგან არის, რომ სადაც ბუნებით თავის თავად არ ალმოცენებულა ვაზი, იქ გადაიტანეს, ხელოვნურათ მიათვისებინეს მიწას, გააუმჯობესეს და იქნობამდის მიახწევინეს თავიანთ მევენახობა და ღვინის სიკეთე და თვისება, რომ ჯერ ერთი გათქმულია უპირატესობით ქვეყანაზედ და მეორეც—იმათ სიმდიდრის წყაროთაც ითვლება,—და ჩვენში კი იმავე დონეზედა დგას, როგორათაც პირველ ჩვენ წინაპართაგან დასაწყისის დროს, როდესაც რომ თვით ბუნება ჩვენ უფრო ხელს გვიმართავს გაუმჯობესობისათვის?

ვიდრემდის შიმშილს არ ვიგრძნობთ, სიმაძღრისათვის არ ვიზრუნავთ; აგრეთვე ვიდრემდის საქმე არ გაგვაჯანჯლებს, იმის დასამარცხებელ ძლიერ ძალას ვერ ვიჩენთ, და ვეჭიდებით მსუბუქად ისევე ჩვეულებრივ მამაპაპურათ; ყოველთვისინ ასეა, რომ ვისაც როგორ, უჭირს იმის კვალად და მიხედულობით შრომობს და ვისაც სრულიად არ უჭირს, ის ხომ ჩხირსაც არ გადააბრუნებს. სადაც თვით ბუნება უხვად იძლევა ნაყოფიერებას, იქ ყოველთვისინ ადვილად ეჭიდებიან საქმეს.

ქახეთის მევენახობის წინ-წაუწევნელობის საბამი, სხვათა შორის ერთიც იმაში მდგომარეობს, რომ ვიდრე მთელს დაღისტანს დაიპყრობდნენ—ესე იგი ათას-რვაას-ორმოც-დაცხრამეტამდის, ლეკები სულ მთლათ ქახეთის ვენახებში ეყარნენ და არ იძლეოდნენ მოსვენებას, ნამეტნავათ მდინარე ალაზნის მარცხენა მხრით, ქავკასიის მთისკენ. იშვიათი დღე იქნებოდა დაღისტნის დაპყრობამდის, რომ გზირს არ ეყვირნა სოფელში: „ტყვეები დაიტაცეს (ან დახოცეს) და მდევარ გა-მო-ო-დითო!“ სოფლურათ უნდა შეყრილიყვნენ ხოლმე დაიარაღებულნი და ისე დაეწყოთ შემუშავება და დაკრეფა ყურძნისა (რთველი). თელავს მცხოვრებნი ალაზან გაღმა ქალს არ გაათხოებდნენ, რადგანაც მუდმისი მოუსვენრობა ჰქონდათ მტრისაგან.

ვაჟკაცობით-კი ჩვენი თარგის სოფლები: ალმატელები, გრემელები, შილდა-ყვარელები და სხვანი უფრო გათქმულნი იყვნენ, ვიდრე თელავის მხრის სოფლის მცხოვრებნი. ეგრე-

ბის გამართვა შეიძლებოდესო.

* * *

ერთი რუისელი გლეხი იქაურ მღვდლის სამდურავს გვწერს. რაში მდგომარეობს ეს სამდურავი—ამაზე აქ არას ვამბობთ; თვითონ იმ მღვდელსაც კარგათ ეცოდინება—თუ რისთვის უნდა ემდუროდეს იმას თავის მრევლი. ვიტყვით მხოლოთ, რომ ყოველი რიგიანი სულიერი მამა თავის სულიერ შვილებში კეთილ-ზნეობის დანერგვას უნდა ცდილობდეს...

—

ფოთი-თლისის რკინის გზით ფოჩტა ჯერ კიდევ ვერ დაიარება; არც აქედამ იღებენ გაზეთებსა და წიგნებს და არც იქიდამ მოგვედის რა თავის დროზე. ჩვენი ბრალი არ არის, მაშასადამე, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში Iმერეთი, Bურია და Sამეგრელო თავის დროზე ვერ მიიღებენ ჩვენს გაზეთსა.

ბორჩხის გამგეობის სხდომა

4 დეკემბერს

ამ შაბათს, ოთხს დეკემბერს, სხდომა იყო ჩვენი Bორჩხის რჩევისა. თუმცა სხვა-და-სხვა მოსალაპარაკებელი საგნები ბევრი იყო, მაგრამ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია კრებამ სამს კითხვას:

პირველი. ძალაქის თავმა უფ. ელიმირზოვმა გამოაცხადა, რომ 2,500 მანეთი უნდა აკრეფილიყო, მაგრამ მიზეზი ეს იყო, რომ, როდესაც ეს ფული გაიწერა, ჯერ ბოროდოეთი უპრაველენია გახსნილი არც კი იყო, მაგრამ ამოთ იშრომეს ფულის გამწერებმა: გასწერეს და კი ამკრეფი არავინ იყო; ეს ფული საზოგადოთ Bორში მცხოვრებლებზედ გაიწერა, მაგრამ თავადებმა, აზნაურებმა და ჩინოვნიკებმა არ იკისრეს, რადგანაც, როდესაც გორელები მთავრობას დაჰპირდნენ, ამ ზემო პირებს არ შეატყობინეს, და ამაზე იყო კითხვა, ეს ფული მარტო Bორის ვაჭრებზე გაიწეროს თუ თავად-აზნაურობაზე და ჩინოვნიკებზედაც.

ხმოვანმა ანტონ ზუბალოვმა სთქვა: ჯერ ქალაქის ანგარიში ენახოთო, შევიტყოთ შემოსავალ-გასავალი ქალაქისაო და მერმე გაიწეროსო.

ძალაქის თავმა მაშინვე მიწვია უფ. ზუბალოვი და აჩვენა ყველა ანგარიშები ასე რომ ეს 2,500 მანეთი რომ აიკრიფოს, Bორს კიდევ ვალი საკმაო აქვს.

ხმოვანმა დავით ტერ-სტეფანოვმა სთქვა: ეგ 2500 მანეთი აიკრიფოს მთელს Bორში მცხოვრებთაგანაო, ესეიგი თავად-აზნაურთა და ჩინოვნიკებისგანაც და ვაჭრებისგანაცაო; მხოლოთ ჩვენი ხმოვანებიდამ ხუთი კაცი დაინიშნოსო, რომ წინათ გაწერილი რასკლაჩიკების დავთრები გაიშინჯოსო, უკეთუ სანდისიანათ იყოს გაწერილი, იმათვე აკრიფონო, თუარა და ხელ-ახლათ გაიწეროსო და მაშინვე აარჩიეს ეს ხუთი კაცი უუ. ხმოვანებმა.

მაგრამ ამ ერთობ ხმოვანების წინააღმდეგ იყო დამიან დაერეშოვი, რომელიც ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება ახალმა კამისიამ ძველი რასკლადჩიკების დავთრები ისე მიიღონო, რომ არა გაასწორონ რაო და ბარემ ეხლავე ამ ხუთს კაცს მიენდოს ახლათ გაწერაო. მაგრამ ხმოვანები დარჩნენ ტერ-სტეფანოვის აზრზედ.

მეორე საგანი იყო შემდეგი: რადგან ზოგიერთ Bორელ მამულის პატრონებს წინანდელი წლების ნედოიმკები არ შეუტანიათ და არც წრევანდელი, ის ფული საიდიოთ მოჰკრიფონ? ანუ ვინც არ შეიტანს, ჯარიმა რა გარდახდეს? ერთობ რჩევამ გარდასწყვიტა წინანდელი წლებისაც და წრევანდელი წლისაც ყველამ უნდა შემოიტანოს მომავალის 1877 წლის თებერვლის 1-მდინ, ვინც არ შემოიტანს, ძველი ნედოიმკის პატრონებმა გარდაიხადოს მანეთზე ნახევარი პროცენტი, და ამ წლის შემამტანებმა გარდაიხადოს მანეთზე ერთი პროცენტი. ამითი გათავდა ეს საგანი.

ძალაქის თავმა გამოაცხადა, რომ ძალაქის გამგეობის წევრმა უ. გრიგორ ამიროვმა თავისი ჯამაგირი ქალაქის გამგეობას შესწირაო და უფასოთ უნდა ემსახუროსო და ეს ფული სად მოვიხმაროთო.

ამაზე გიორგი რამანოვმა სთქვა: როდესაც ქალების სკოლა ისხნებოდა გორელებმა განჩინება დაადგინესო და დაჰპირდნენ 600 მანეთი მიეცათო და ეს ფული ჯერ არ ბიუღიათ იმათაო და ძალიანაც სწუხს ამ სკოლის მზრუნველი ქალი, რომელიც მოწერილობა აქაური ქალაქის თავსაც მიუღია და მაინც არ შეგვარჩენენო, და ამის გამო იმ ქალების სკოლისათვის გადაიდოსო ეგ ფული, რადგანაც ის სკოლა უფუულობით საცა არის დაიკეტებაო და ბევრი ობოლი დარჩებაო უსწავლელიო. ამგვარადვე დოქტორმა ჯიმონტმა და პოპოლო თუთაევმა გამოაცხადა, მისცემოდა სკოლას, მაგრამ მიხეილ მურადოვმა და ნიკოლოზ დანდუროვმა სთქვა, რომ ქალაქის სასარგებლოთ დარჩესო, ესე იგი მაზრის ზედამხედველი აეირჩიოთ მაგ ფულითაო და ქალაქს ყური უგდოსო.

ეს საგანი არ გათავდა, რადგან ქალაქის თავს უნდოდა ეს ფული დარჩეს კანცელარიაშიო და ხან-დახან კანდიდატები გვიშველიანო და იმათ მიეცესო. დანარჩენი ხმოვანები იმას ამბობდნენ, ნურც სკოლას მიეცემაო, ნურც ბაზრის ზედამხედველსაო, ფარნები გაგვიკეთდეს Bორშიაო; მაგრამ რადგანაც ფარნების კეთებაზე სხვა მოლაპარაკებაც უნდა და არც Aმიროვის ჯამაგირი და არც სხვებისა არ ეყოფა ეს ლაპარაკი გადაწყდა ისე, რომ არც სკოლას მიეცეს, არც ფარნებისთვის დაიხარჯოს, რაკი არ ეყოფა და არც კანდიდატებს მიეცეთ და სხვაფრივ მოიხმარონ. მაშინ უფ. თუთაევმა სთქვა, ეგ Aმიროვის შემოწირული ფული დარჩეს იქამდინ შენახული, ვიდრე ჩვენ ერთობ ხმოვანი გადავწყვეტდეთ, შემდეგში რაში მოვიხმაროთო. ეს საგანი ამით გათავდა. მაგრამ ეშმაკები რომ ტიკებს ალბობდნენ და ღვინო არსად იყო, ეს სწორეთ ისე გახლავს: არ ვიცი, ან აქაური Sავი რას გვიყოფს, ან ჩვენ რასა ვყოფთ, Aმიროვს სულ ერგება თავის ჯამაგირი ხუთ თუმნამდინ, ესეც იანვრის პირველამდინ! ძალაქის Sავმა ითხოვა ამის დახარჯვის ნება მომეციოთ სხვა და სხვა კანცელარიის საჭიროებისათვის და შემდეგში, როცა Aმიროვმა უფასოთ იმსახუროს და ჯამაგირი აქ დარჩეს, მაშინ უჩვენოთ ამ ფულს გზები; მაგრამ Aმიროვმა იცის, ის თვეში ერთ დღეს Bორში არ იქნება, რადგან თითონ ბევრი საქმე აქვს თავისი და ჯამაგირზედ უარი სთქვა, ჩვენთვის საგრძნობელი მაშინ იქნება ამ ფულების შეწირვა Aმიროვისგან, რომ თითონ აქ იმყოფებოდეს და იმისი მაგიერი კაცი არ დაგეჭირდეს; თორემ როცა ის აქ არ იქნება სხვა წაიღებს ისევ იმისი მაგიერი. ეს რაღა შეწირვაა! Bარემ იმისთანა წევრი იყოს, მუდამაც იყოს და ჯამაგირიც აიღოს.

Iყო კიდევ იმაზე ლაპარაკი, რომ ორი წევრი ამოარჩიონ უფასო, ერთს ებაროს პოლიციის ანგარიში ფულისა, მეორეს ქალაქის ზედამხედველობა. Aმაზე თანხმა შეიქმნენ ერთობ ხმოვანი და შემდეგ სხდომა გათავდა. მათი არჩევა შემდეგ სხდომაზე იქნება.

თვე ცხოვრებითაც და ხასიათითაც დიდი განსხვავება იყო, თითქმის ეხლაც. Kახეთში თვითეულ სოფელს რითაც შესანიშნავი ეყოფილვართ, ლექსი გვაქვს გამოთქმული ერთი ერთმანეთზედ:

მე ალმატელი არა ვარ,
ლეკები მესხდნენ კარზედა!
მე ხომ ყვარული არა ვარ,
მოვალე მედგეს კარზედა!
მე ხომ შილდელი არა ვარ,
შამილი მედგეს კარზედა!
მე ხომ გრემელი არა ვარ
თვალი მეჭიროს შარზედა!
მე საბუელი არა ვარ,
თავი მინაყონ ქვაზედა! და სხვ.

რაღა თქმა უნდა, რომ იმ დროს რიგიანი შემუშავება ვაზისა არავის შეეძლო. მაგრამ ახლა? Aხლა საქართველოს მეღვინეობა სამს უმთავრეს ნაწილათ განიყოფება: Kახეთისა, ქართლისა და Iმერეთისა. Aმ სამივე ადგილას სულ სხვა-და-სხვა გვარათ უვლიან ვაზს და აყენებენ ღვინოს. Aმისი მიზეზი თვით ბუნება, ანუ უკეთა ესთქვა, ვინც როგორ დაჩვეულა და გამოცდილება მიუღია, თავიანთ ვაზს და მამულს ისე უველიან. ჰავას და მიწის სინოყიერესაც დიდი გავლენა აქვს არამც თუ მარტო მცენარეობაზედ, — არამედ მთლათ სულიერ არსებობაზედ.

ღვინის სიკეთე მომეტებულ ნაწილათ ამინდზედ არის დამოკიდებული, ვაზის ჯიშზედ, ადგილის მდებარეობაზედ, დაყენებაზედ, ჭურჭლის სიფაქიზეზედ და სხვ. ღვინოზე ნაზი ქმნილება იშვიათათ მოიძიება. თუმცა მრავალის ღონის-ძიებით ეწამლება და დაიწმინდება, მაგრამ თავისი პირველი მდიდარი თვისება-კი წაერთმევა.

თვით Kახეთის მეღვინეობაც ორ ნაწილათ განიყოფება: ერთი—მდინარე Aლაზნის მარცხენა მხრით Kავკასის მთისკენ და მეორე—Aლაზნის მარჯვენა მხრით, Mელაიის თარგზედ, Aმ Mელაიის თარგის ღვინოებს უფრო მომეტებული მუშაობა ესაჭიროება ასე, რომ, თუ ყოველ წლობით არა, სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა დაბარონ პირ-ალებით ღვინოები; და გალმა კი, მდ. Aლაზნის მარცხენა მხრისკენ რაკი დამთავრდება ვაზი, ხშირად თხუთმეტი და ოცი წელიწადიც გავა, რომ ღვინოსმა პირალებით დაბარვა არ მოინდომოს.

ვაზს სხვა-და-სხვა წესზედ აყენებენ,—ზოგან მაღალს და ზოგან დაბალს. Eვროპის გამოცდილება დაბალ ვაზს ამჯობინებს, რადგანაც დაბლათ დაყენებული ვაზი გვიან ბერდებაო და ღვინოც მაგარი თვისებისა იცისო. მართლათაც დაბალი ვაზის ღვინო უფრო უკეთესია, ვიდრე შაშვებულის ან ხეივნისა. Aმასთანავე ვაზის ადრე დაბერება ერთიც იმაზედაა დამოკიდებული, რომ ორ დასაკავებელ რქას არჩენენ (Sიზლარში თითო რქას არჩენენ ყოველ ვაზს და თითო ნეკს ორ-სამ კვირტზე). Oრ რქიანი ვაზი, მართალია, ყურძენს ბლომათ მოიცემა, მაგრამ ღალა ჩქარა გამოელევა და შეიქნება მცირედ ნაყოფიანი—დაბერებული. Dაბლათ დაყენებულ ვაზს სადაც ყინვები იცის ათი გრადუსიდამ მოკიდებული, დასამარხათ უფრო ცოტა მუშაობა დასჭირდება, და თუ დაბალ ვაზს შამბი და ბალახი მოერია, ყურძენს სულ გააფუჭებს და ღვინოს შმორის სუნი და გემო გამოჰყვება, ამისათვის ვაზებ ქვეშ ბეჯითი ფურჩქნა და გაწმენდა ესაჭიროება. Aმას გარდა სადაც ძრიელ ქარები იცის, მაღალ ვაზს უფრო ადვილათ აენებს, ვიდრე დაბალს. მაღლად დაყენებულმა ვაზმა მხოლოდ ნათელი ყურძენი იცის და მცირე გამოსავალი—წვენი. Sარბელექნის ლეკები (ზაქათალის მაზრაში) ვაზს თითქმის ერთ საჟენზედ მომეტებულსაც აყენებენ; ღვინოთ არა სწურამენ, არამედ ბოზას და ბაქმაზს ამზადებენ. ბოზა ტკბილი სასმელია; ყურძენს რაკი დასწურამენ, ტკბილს ორმოც-და-ათ გრადუსამდის გააცხელებენ ცეცხლზედ, ქაფს მოჰხდიან, გააციებენ და შემდეგ ქვევრ-

ვაგრამ მე ამას ვიტყვი, რომ თუ უ-დათ ქალაქში რიგიანობა და წესიერება იყოს, ბაზრის ზედამხედველი საკუთარი უნდა დაინიშნოს, თორე როგორც ეხლა აქაური ხორაგის გამყიდველები და მიკიტნები ნაკლების სარწყაოთი და სიწონით ატყვილებენ ხალხსა, კიდევ შემდეგში უარესობა იქნება.

ქალაქის რჩევის ზალა საკმაოდ დიდი არის და საუკეთესო ქუჩაზედ, მაგრამ შიგნიდამ მელით გაუთუთხნიათ, თუ კაცი არ გაუფთხილდა და კედელზედ მიეყუდა, ისე გათუთხნული გამოვა, თითქო ფქვილის ტომარა დაურტყამთო. მაგრამ შიგ სიბნელეა, რადგან მხოლოთ ოთხი სანთელი ანთია. არა მგონია, ბორი დაიღუპოს, რომ აქაურმა თავმა ექვსი კედლის ლამფა დაჰკიდოს და რჩევის სხდომის დროს განათებული ჰქონდეს ზალა.

ბორელი

რუსეთი

მომქმედი ჯარების ყოველ მხრით შეიარაღებაზე, სხვათა შორის შემდეგ ამბავს ვკითხულობთ „მართებლობის მოამბეში:“

„უმაღლესი ბრძანება ჯარების ყოველმხრით დამზადებაზე, 52 ღუბერნიებისა და მაზრების მმართველებს 1 ნოემბერს მოუვიდათ ტელეგრამით. იმ დღესვე, ბრძანების მიღებისათანავე ხსენებულ მმართველებმა სადაც და ვისიც ჯერ იყო ტელეგრამმებითვე, თუ ესტაფეტებით და თუ შიკრიკებით აცნობეს ეს უმაღლესი განკარგულება. ნოემბრის ორს დათხოვნილი სალდათები თითქმის სულ მოწვეულნი იყვნენ ნიჟნი-ნოვგოროდის ქალაქში და ჩაბარებულნი სამხედრო უწყებისთვის. იმავე დღეს სხვა შვიდ ქალაქში 11,000 კაცი და რვა ღუბერნიიდამ საჭირო ცხენები დამზადებულნი იყვნენ სამხედრო უწყების ჩასაბარებლათ.—

„ეს დათხოვილი სალდათები ყოველ ღუბერნიიდამ და მაზრებიდამ დიდის სიამოვნებით იყრიდნენ თავს და მოდიოდნენ სადაც კი უბრძანებდნენ.

„არ ყოფილა მაგალითი, რომ ვინმე იმათგანი უარზე დამდგარიყო ან სადმე დამალულიყოს. რაც შეეხება იმას, რომ ზოგიერთ მაზრებში ვერ მონახეს ან არ ამოჩნდნენ სიაში ნაჩვენები პირნი, ეს მოხდა იმით, რომ ესენი ან მკვდარნი იყვნენ, ან ტუსაღნი და ან დროებით გადასულნი სხვა ღუბერნიებში და ქალაქებში, სამუშაოთ, თუ სხვა რამ საჭიროებისათვის. მაგრამ ეს დანაკლისი რიცხვი სხვა ადგილებიდამ მოწვეულებით შეავსეს და ხსენებულ მაზრების მმართველებს, ამ რიგათ ვისიც ჯერ იყო, თავისი მაზრაში მოსაწვევი პირების სია საესეთ აჩვენეს.—

„თუმცა ეს ჯარების შემზადება და უვადოთ დათხოვილი სალდათებისა მოწვევა ცუდ დროს მოხდა, შემოდგომაზე, როდესაც თითქმის ყველა ღუბერნიებში თოვლი იდო და ჯარების გადაყვან-გადმოყვანაში ეს ღუბერნიების და მაზრების მმართველები ბევრ გვარ დაბრკოლებას ჰპოვებდნენ, მაგრამ მაინც ყოველ გვარ საშუალებას ხმარობდნენ, რომ დაემსახურნათ უმაღლესი მართებლობის ყურადღება და მადლობა და, მართლაც, 19 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორმა, შინაგანი საქმეების მინისტრის მოხსენების შემდეგ, ამ ჯარების შეიარაღების და დამზადების თაობაზე, ინება უმაღლესი მადლობის გამოცხადება ყველა სამოქალაქო წოდების პირებისა, რომელთაც კი მიიღეს მონაწილეობა ზემო-მოყვანილი ბრძინების აღსრულებაში.

— ბაზ. „ახალ დროებაში“ სიმფეროპოლიდამ (ყირიმშია) შემდეგს იწერებიან: „ჩვენი, საზოგადოთ ჩუმი და მყუდრო ქალაქი, ამ უკანასკნელს დროს ერთობ განცხოველდა. ყოველ ცისმარა დღე ყირიმის სხვა-და სხვა ქალაქებიდამ შემოჰდიოდა ხალხი თავიანთი ჭირ-ნახულევით, რომ ზღვაზე მოშორებულ ჩვენს ქალაქში თავი შეეფარათ ომის დროს. ამის მიზეზით სადგომების და სხვა-და-სხვა სურსათების ფასი ერთობ აიწივა. სადაც უნდა შეხვიდეთ, ვისაც უნდა გამოელაპარაკოთ და რამე ჰკითხოთ, ყოველგან და ყველასაგან ერთი და იგივე ლაპარაკი და პასუხი გესმისთ: „ნეტავი არ იქნება, ერთი ომი მართლა ასტყდებოდეს! ამ განუსამზღვრელ მდგომარეობაში მაინც აღარ ვიქნებით: გვეცოდინება მაინცა, რომ ომია!“

უცხო ქვეყნები

სტამბოლის კონფერენცია. კონფერენციისათვის შესამზადებელი მუშაობა უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენლებს დაუწყიათ კიდეც. ამ სხდომაზე, რომელიც იგნატიევისას არის ხოლმე, ყველა წარმომადგენელნი იყრიან თავს, გარდა ოსმალოს მმართებლობის წარმომადგენელისა. ეს კერძო სხდომები სანამ თავათ კონფერენციის პროგრამმაზე წარმომადგენელნი არ დათანხმდებიან, მანამ არ შესწყდება. ამბობენ, რომ ერთს ამ სხდომებთაგანზე, ღენ. იგნატიევს პირველ კითხვათ საზოგადოთ აჯანყებული მაზრების ჯარებით მოკავება შემოუტანია.

თუმცა ეს სხდომები კერძო სხდომებად ითვლებიანო, ამბობს ერთი ნემენცური გაზეთი, მაგრამ იმათზე დამოკიდებული იქნება თავათ კონფერენციის მუშაობის მსვლელობაო. შეიძლება კონფერენცია სულ არ მოხერხდესო,—ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ დანარჩენი სახელმწიფოების წარმომადგენელნი, როგორ შეჰხედავენ ღენერალ იგნატიევის წინადადებას, რომ ოსმალოს ერთ პროვინციაში გარეშე სახელმწიფოს ჯარები ჩააყენონ. ამავე გაზეთის სიტყვით, კონფერენციაზედ თავმჯდომარეთ ოსმალოს წარმომადგენელი საჰფერ-ფაშა იქნება.

— ოსმალოს მმართებლობა არასგზით არ თანხმდება რუსეთის იმ მოთხოვნილებაზე, რომელიც შეიცავს იმას, რომ ბოლგარია დროებით რუსეთის ჯარებმა უნდა დაიჭიროს. ერთს ნემენცურს გაზეთში კოსტანტინოპოლიდამ გაგზავნილი ტელეგრამმა ამბობს, რომ ეს მოთხოვნილება რუსეთის მხრით, ომის გამოცხადების მიზეზს უდრისო (casus belli). „ასე ჩათვლის ამ მოთხოვნილებას ოსმალოს მმართებლობა იმ შემთხვევაშიაც, თუ გინდ რომ იმაზე სულ კონფერენციის წევრებმა ერთხმათ ან ხმის უმეტესობით თანხმობა განაცხადონ.

—

ინგლისი. ქვემო-მოყვანილი ამბებიდამ შეიტყობთ, რომ საზოგადოთ ინგლისელი ხალხი და საუკეთესო მისი წარმომადგენლები არ თანაუგრძნობენ ოსმალოს და მისი მართებლობის მოქმედებას იმ საქმეში, რომლის გასათავებელათაც დღეს სტამბოლის კონფერენცია მოწვეულია. ლონდონში ამჟამათ „ნაციონალური კონფერენციაა“ მოწვეული, რომელშიაც, სხვათა შორის, ბევრი წარჩინებულნი პირნი, თუ სწავლულები, თუ პროფესორები, საუკეთესო ორატორები და სხვ. იღებენ მონაწილეობას. ამათში ბლადსტანიც ურევია. 26 ნოემბერს (8 დეკემბერს) ყოფილა პირველი სხდომა ამ ნაციონალური კონფერენციისა, რომელზედაც ათასზე მეტი დამსწრე ყოფილა და თავმჯდომარეთ უესტმინსტერის გერცოგი ამოურჩევიათ. ამ სხდომაზედვე დასწრებია ოკსფორდის ეპისკოპოსი, ბლადსტონი და პარლამენტის ბევრნი წევრნი. უმთავრესი აზრი იმ სიტყვებისა, რომელნიც ამ სხდომაზე წარმოუთქვამსთ, ყოფილა:

ში ჩაასხმენ; რამდენიმე დღის შემდეგ დაიწმინდება და შეიქნება სასიამოვნო მოტკბო სასმელი, რომელსაც ბოზას ეძახიან. მაგრამ ისე დიდ ხანს კი ვერა სძლებს, როგორც სადედიანი ჩვენი ღვინო.

საქართველოს მევენახობას გარდა არის კიდევ შესანიშნავი ჩრდილოეთ კავკაზიის მევენახობა—ყიზლარისა. ყიზლარის მდებიარობა ვაკე ადგილია, ქვა და ქვიშა ძალიან იშვიათია. თვით ადგილიც ნოტიანია; არშინ ნახევარზედ რომ ამოსთხარონ მიწა, მაშინვე წყალი გამოჩნდება. ამათი მევენახობა ძალიან განისხვავება ჩვენს მევენახობასთან თვით ბუნების თვისებით. ამათი გამოცდილება დაბალ დაბურულ ვაზს არჩევს, ამიტომ რომ ყურძენი ფოთლებ ქვეშ არის დამალული და უფრო შავი კანი და წვენი ექნებაო (აქ, მომეტებული ნაწილი შავი ჯიშის ყურძენია, რომელსაც ჩვენ ქართველები საფერავს ვეძახით); და თუ მაღლა დავაყენეთ ვაზი, მზე დაჰხედავს და ყურძნის კანი და წვენი განარინჯდებაო, რომლის გამო ღვინოც ნარინჯი გამოვა და არა მუქი-შავიო! აქ ყურძნის წვენს ძალიან გამოსავალი აქვს, რადგანაც ვენახის ადგილები თვით ბუნებით ძალიან ნოტიანია; და ღვინო-კი დაბალი ხარისხისა იცის საზოგადოთ. რომ უნდოდეთ კარგი ღვინის დაყენება, უნდა საღი ყურძნის მტევნები მოარჩიონ, გააჭკნონ მზეზედ ან ჩამიჩივით გააშრონ, რაც მომეტებული წყლის ნაწილი აქვს, ის გაშრება და დარჩება მომეტებული ნაწილი სიტკბო და სპირტი.

ესენი დაყენებითაც ჩვენ კახელებზედ განსხვავებით აყენებენ ღვინოს, ასე რომ დაწურვის დროდამ, ძალიან ბევრი რომ ვსთქვა, ორი კვირიდამ მოკიდებული, ვიდრე ერთ თვემდის დააცდიან სადედს ტკბილში, შემდეგ გადაიღებენ ბოჩკებში—და მორჩომილი საქმეა.

აქ ბოჩკებით (კასრებით) იციან ღვინის შანახვა და არა ჩვენებურათ ქვევრებში. ამისი მიზეზი ეს არის, რომ, რადგანაც მდებარეობა წყლიანია, ამისათვის ქვევრი ვერა სძლებს მიწაში, მაშინვე წყალი გამოჰხრავს; თუმცა უცდიათ, ჩვენებურათ ჩაუკირავთ ქვევრი, მაგრამ მაინც თავს არ იჭერს.

ვისაც უნდა, რომ რამდენიმე წელიწადი დააძველონ და შაინახონ ღვინო—იმ ამორჩეული ყურძნისას დასწმენდამენ კარგათ, ჩაასხამენ მუხის ბოჩკაში და დაჰმარხამენ მიწაში. ეს არის ამათი ძალიან თავი ღვინო. ყველამ ვიცით მუხის ხე როგორი გამძლეა მიწაში და წყალში. აქაურ ვენახებს გოლვა ვაგლახათ ვერ ავნებს, თუ მომეტებულმა ყინვებმა და სეტყვამ არ აზარალა. აქაურ ღვინოს ჩვენ საქართველოს ღვინოზედ უფრო კარგი სრიდი აქვს, ამიტომ რომ გზა ნებას აძლევს. ყოველ წელიწადს ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზედ უანგარიშო ღვინო საღდება. ყიდულობენ ღვინის ფაბრიკანტები და აკეთებენ, მთავრობის ნება-რთვით, ამ ღვინოდამ მადერას, ხერესს, კონიაკს, რომს, პორტვეინს, შამპანსკის, ლაფიტს, ბორდოს და სხვა სასმელებს, რომლებსაც როგორც სამზღვარ გარეთელების ნაწარმოებს, ისე ასაღებენ.

დასასრულ არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ღვინო ჩვენი სიმდიდრის ერთს უმთავრეს წყაროს უნდა შეადგენდეს; მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენ ამ ბუნებითი სიმდიდრით, როგორც სხვა მრავალით, სარგებლობა და სხვა ჩვენი ცხოვრების საჭიროებათა დაკმაყოფილება ვერ მოგვიხერხებია. ნახამთ, თუ ჩვენ იმ დროს არ მოვესწროთ, რომ ამ სიმდიდრითაც სხვები, უცხო ქვეყნელები სარგებლობდნენ და ჩვენ კი პირი დაგვეღოს და იმათ შევჩერებოდეთ...

ბ. ბრემელი

ცული მმართველობა ოსმალეთში, უიმედობა ყველა იმ რეფორმების შესრულებისა, რომელსაც ოსმალო ჰპირდება თავის ქვეშევრდომებს; ამ შემთხვევაში პასუხის მგებლობა ევროპისა და უმთავრესად ინგლისის მმართებლობისა; ჩამოთვლა იმ რეფორმებისა რომლების შემოღებაც უნდა მოეთხოვოს ოსმალოს და ბედის უყარის-მყოფლობა ანუ პროტესტი ინგლისის მართებლობის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ კი ეს ოსმალოს დაეხმარება ომის დროს.—ამ სხდომაზე უესტმინისტერის გერცოგს უთქვამს: „თუ საჭირო იქნა, ამ ომში ინგლისმა უნდა გაიყვანოს თავისი ჯარი და ფლოტი ოსმალოს წინააღმდეგ.“ მეორე დღეს 27 ნოემბერს, მეორე სხდომაზე გლადსტონს წარმოუთქვამს, რომ ინგლისის ხალხი არ თანაუგრძნობს თავის მართებლობას ოსმალოს სასარგებლოთ მოქმედებაში, რომლისათვის პასუხი პირადათ დიზრაელმა უნდა აგოსო. ოსმალომ დაარღვიაო პარიჟის ტრაქტატი და ამაში იმას ინგლისის მართებლობა მოეხმარა და ეხმარებაო. ბოლგარიაში და ბერცოგოვინაში ოსმალოს განუსაზღვრელ მფლობელობას უნდა ეცადოთ, რომ მოელის ბოლოს და ამისათვისაც საჭირო არის, რომ ოსმალოს საქმეში დღეს გარეშე სახელმწიფოები გაერიონო.

ნარევი

ზღაპარი

ერთ ქალს სულელი ქმარი ჰყვანდა.

— დედაკაცო, ერთი ლობიო ჩაადგი სადილათო, უთხრა ქმარმა.

— მარილი რო არა გვაქვს! მიუგო ცოლმა

— მარილს მე მოვიტან, შენ მითხარი, რამდენი გვინდა?

— მუჭანახევარი! მიუგო ცოლმა.

წავიდა სულელი და მიიძახის გზა-გზა: „მუჭანახევარი, მუჭანახევარი!“ ერთი მთესვარი პურსა სთესს და ამბობს: „ერთი ათასად, ერთი ათასად!“ მივიდა სულელი და ეუბნება: „მუჭანახევარი! მუჭანახევარი!“ მთესველი დაინებებს თავს თესვას და დაუწყებს ცემას სულელს: „მე ერთი ათასად - მეთქი ვამბობ და შენ მუჭანახევარიო?“

— მაშ როგორა ესთქვა, კაცო!?

— წადი და ერთი ათასად-მეთქი იძახე.

სულელი მოშორდა და ყვირის: „ერთი ათასად!“ შემოხვდა ხალხი, რომელსაც მიცვალებული მიაქვს ცხედარზედ და სტირის! „ღმერთო, ამაზედ მეტს ნუ მოგვიკლავო.“

სულელი ყვირის: „ერთი ათასად, ერთი ათასად!“ დაასვენეს მკვდარი და სცემენ სულელსა.

— მა როგორა ვთქვა, ხალხნო?! ღრიალებს სულელი.

— ღმერთო, ამაზედ მეტს ნუ მოგვიკლავ-მეთქი იძახე.

წავიდა სულელი და წინ შემოხვდა მომღერალი მაყრები მეფე-დედოფლით.

— ღმერთო, იმის მეტს ნუ მოგვიკლავ! ყვირის სულელი; მაყრები დადგებიან და წაუშენენ სულელსა.

— მა რა უნდა ვსთქვა, თქვე ოხრებო.

— „იარი!“ და სულ „ურაა!“ იძახე.

სულელი წავიდა, შემოხვდა ორი მონადირე, რომლებიც კურდღლებს ეპარებიან მოსაკლავათ.

— ურაა, ურაა! დაიყვირა სულელმა და დაფთხო კურდღლები. მონადირეებმაც მიბეგვეს და უთხრეს, წადი და ნელა-ნელა იარეო უჩუმრათო. წავიდა; ნახა, ორი კაცი ჩხუბობენ. სულელმა ხმაც არ ამოიღო და გვერდით ჩაუარა. მაჩხუბრებმა დაანებეს თავი ერთმანეთს და წაუშინეს სულელს.

— შე ოხერო, ერთმანერთს ვხოცავთ და შენ ხმასაც არ იღებ, არ გეკადრება გაგვაშველო?

— თქვე მუდრეგებო, მა რა უნდა ექნა?

— როცა მაჩხუბრები ნახო, უნდა გააშველო.

სულელი შევიდა ეკკლესიაში და ნახა, რომ ხან მღვდელი ლოცულობს ხმა მაღლა, ხან დიაკვანი და ხან პრიჩეტნიკი, ამას ჰგონია ჩხუბობენო, მივარდა და ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს სცემს ცხვირ-პირში. წირვას თავი გაანებეს, დაიდვეს საწყალი სულელი და ძვალი რბილს გაუერთეს. გაბრუნდა დაბეჭერილი თავის სახლში და ისევ უმარილო ლობიო შეშჭამა.

თეოფ. ქანდელაკი

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ საჭართველოს
გატოლნისშვილი
ისტორიული რომანი
გ. რჩეულოვისა.
თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

ათასი პირიქ, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ევაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ **მცენარეულობითს ქინოლ-გლიცერინის პომადისა**, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა **ლანდგერიხტთან** დანიშნულისა, ვენაში, უ. ძლეიჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსელეპილი თაიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თაეის კეფას უმავრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქარქაშს აშორებს, თმას აბაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატიოცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პომადა „PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Eugenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტავროპოლში კურილჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქლში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამინის სიცხოველე ეძლევა. უველაზე უფრო ეს პომადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი ძლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ყოველ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დალი, ამფორის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პომადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



ხელის პომადა

ეს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. (54—42)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა . .	—	—	—	—	-	68	-	38
გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ძუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა .	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	7	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:

	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 26 ნოემბ.

ერთი მანეთი ღირს:

	მან.	კაპ
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი(სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	93	25
მოგებიანი(პირველისესხი)	179	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	173	50
ბიროას ფურცლები:		
თფილ. საბნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	79	75
მოსკოეის (5%). . . .	81	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	250	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	470	—
ავკაზის და მერკურის. .	206	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	720	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	240	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	269	—

მაზანდა

	მან.	კაპ
თფილისი, 7 დეკემბ.		
პური შორაგალის ფთ.	1	40
ქერი ფუთი.	—	90
ბამბა პრეენისა, ფუთი .	5	20
—ამერიკისა, ფუთი. .	5	60
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	6	—
—მარაქამისა ფთ. .	4	60
აბრეშუმი ბუხური გრ.	2	60
ჭონი, ფუთი. . .	4	—
ჭონის სანთელი ფუთი.	5	40
სტეარინის სანთელი, ფ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	50
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	55
სპირტი, უედრო. . .	6	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	—
—ფხვნილი ფუთი . .	7	20
უაია გრგვალი, ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჟუთისა ფთ.	6	20
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	6	75

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Декабря 1876 г. Типографія Меликова и К°.

გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი